კრებსითაგზიო ყველა ქვეყნის, შეუერთდით!

ლელო

№ 155
(7466)

11 1983 წ.
აგვისტო
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მშვიდობის ველოსაშვრობა დამთავრდა

ამ დღეებში მოსკოვში დაბრუნდა „ველოსადაბენა მშვიდობა-83“-ის მონაწილეთა საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი. ამ ლაშქრობის მარშრუტმა, რომელმაც სტარტი ჩვენი საშობლოს დედაქალაქში აიღო (იგი გადიოდა — სსრ კავშირში, ფინეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიასა და აშშ-ში), ერთნაირი ძალით მიიზიდა კეთილშობილური იდეით გაერთიანებული საბჭოთა, სკანდინავიელი და ამერიკელი ახალგაზრდები, რომელთაც მთელ მსოფლიოსათვის უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — ალაგმონ გამალებული შეიარაღება და ქალაქ-რიონა იხსნან ბირთვული კატასტროფისაგან. მოლაშქრეებს თან მიჰქონდათ ყველა ადამიანისათვის სასურველი და ახლობელი ლოზუნგები: „არა — ბირთვულ არსენალებს საშობლოსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში! არა — ბირთვულ იარაღის პირველად გამოუცხებას, გესურს მშვიდობა და განაირაღება!“ გადარბენის მონაწილეთა ამ მოწოდებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა, გზადაგზა ხელი მოაწერა 60-ზე მეტი ქალაქის მერმა, ამით მათ გამოიქვეს თანამოქალაქეთა სოლიდარობა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

30 ველოსაიპედისტის ხმა მისწვდა მილიონობით ადამიანს, ვინც გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით მეურნეობებიდან ინტერესით აღევნებდა თვალს მშვიდობის მოსაზრებით ამ მსოფლიო მასშტაბის მოკავშირეობას, ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელთაც ერთი მიზანი ამოძრავებდათ, გზაზე არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ, მაგრამ გაჭირვების ჟამს ერთმანეთის მხარში ედგნენ. საბჭოთა გუნდის კაპიტანმა ი. ფილიმონოვმა აღნიშნა, რომ ვიშინგტონში ველოსიპედისტთა გამომშვიდობების შემარიგ მეგობართა ვანშლისა იყო, ბევრ მათგანს ცრემლიც კი მოერია.

მოლაშქრეებს დიდხანს ემახსოვრებათ შეხვედრები საბჭოთა ტერიტორიაზე, როცა მათ გზადაგზა დინებაზე ხალითა და ყვავილებით ხვდებოდნენ ხანშიშესული რუსი ქალები. ისინი ველოსიპედისტებს აწვდიდნენ ჭას გამჭირვალი წყალს და თხოვდნენ ეთქვათ მათი მსოფლიოსათვის, რომ ჩვენ არ გვსურს ომი. ველოსიპედისტებმა ჩაუარეს სამშობლოს დამცველთა ურჩცხვინ სამი საფლავს, მათ დაამახსოვრდათ მეგობრები, რომლებიც მეოდამ მზად იყვნენ ეტიქრთათ სხვისი ტკივილი.

მშვიდობის ველომარშის ძნელი კილომეტრები უკან დარჩა.

სურათებზე: ველოსიპედის მონაწილენი მოსკოვში სტარტამდე (ზემოთ); „მშვიდობის ტრახზე“ (ქვემოთ).

ს. ალდეხის ფოტოები.

უზრუნველყონ მატჩების კანონიერი ჩატარება

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ გააქვთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფედერაცია და დიდოსტატები გ. კასპაროვი და ვ. სმისლოვი პრობლემად შეხედნენ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტ ფ. კამპომანესის 1983 წლის 1 იგისის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩები, მონაწილეთა სურვილების გათვალისწინებლად, პასალიში (აშშ) და ბათუმში (არაბეთის გეოგრთანებული ემირატი) დაინიშნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფ. კამპომანესის უმართავ-ობით მოქმედება გააკრიტიკეს ერთხელმა ფედერაციებმა, ცნობილმა მოჭადრაკეებმა, ფიდე-ს გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

მაგრამ ფ. კამპომანესი, — ნათქვამია განცხადებაში, — რომელმაც შესწორება შეიტანა ფიდე-ს წესებსა და ტრადიციებში, და უგულებელყო საზოგადოებრივი აზრი, საქმეროკო სამყაროსთვის დიქტატის თავს მოხვევის გზას დაადგა. 5-6 აგვისტოს პასალიშში გათამაშდა მატჩის გახსნისა და კორჩნოის გამორჯვებულად გამოცხადების სამარცხვინო ფარსი. ეს აქცია ჩატარდა მთუხედავად იმისა, რომ გ. კასპაროვმა არაერთგზის განაცხადა: მას სურს თითმოს პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი წესებისა და ტრადიციების მკაცრი დაცვით.

არ შემდგარა მეორე ნახევარფინალური მატჩიც, ორგანიზატორებმა უარი თქვეს მის ჩატარებაზე, იმის გამო, რომ ფიდე-ს პრეზიდენტმა მატჩი ამ-დღიდანვე დანიშნა პრეტენდენტთა სურვილის საწინააღმდეგოდ.

თვალსაჩინებ რა შექმნილ სიტუაციას, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის უკანონოდ მიანიშნა პასალიშში პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის გამარჯვებულის გამოცხადება და ფიდე-ს კონგრესზე, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება, აყენებს საკითხს ამ უსამართლო გადაწყვეტილების შესაცვლელად.

ერთმნიშვნელოვნად განცხადება გაიკეთა დიდოსტატმა გ. კასპაროვმა: „ჩემი აზრით, — განაცხადა მან, — ფიდე-ს პრეზიდენტის ფ. კამპომანესის გადაწყვეტილება გაეთამაშებული მატჩის გამარჯვებულად კორჩნოის გამოცხადების შესახებ, ისევე როგორც მისი პოზიცია ნახევარფინალური მატჩების ჩატარების ადგილების შერჩევისას, ეწინააღმდეგება ჭადრაკის ინტერესებს. ამიტომ ფიდე-ს კონგრესს ვთხოვ გადასინჯოს ფ. კამპომანესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და უზრუნველყოს პრეტენდენტთა წლევანდელი ციკლის მატჩების კანონიერი ჩატარება“.

(საკ.ფდესი).

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

ყველაზე დიდი რეზერვი ტალანტი ჩვენს გვერდითაა

„ლელოს“ მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს ჩვენი გაზეთის 6 ივლისის ნომერში დაბეჭდილი მიმართვა-მოწოდება „ერთად ვეძებოთ ტალანტები“. ჩვენ მოვუწოდებდით ქართული სპორტის უველა მოყვარულს და გულშემატკივარს დაგეზმარებოდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენების, კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების შერჩევაში. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ჩვენი სპორტის მუშაკებს, წვრთნელებსა და სპეციალისტებს უველგან არ მოუწიდებათ ხელი და ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა — პოტენციური ჩემპიონი თუ რეკორდსმენი — უურადღების გარეშე ჩრება.

როგორც უველა ჩვენს სხვა მიმართვას, მკითხველი ამ მოწოდებასაც დიდი ინტერესით და გულისხმიერებით გამოეხმაურა, ქართული სპორტის მომავალზე ზრუნვით, დიდი ენთუზიაზმის ქმის კეთების სურვილით და სიყვარული ამოძრავებით და იმიტომ.

სარედაქციო ფოსტაში გაჩნდა პირველი წერილები. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გვწერენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, გვწერენ ერთი აზრით და სურვილით გაერთიანებულნი: არც ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა ტალანტი, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი არ დარჩეს უუურადღებოდ.

„მარტო სპეციალისტებმა კი არ „აღმოაჩინონ“ მომავალ კანდელაკები, მეკოკიშვილები, კარტოზიები, ბალაგაძეები, თედნაშვილები, დუმბაძეები, გოცირიძეები, პაიჭაძეები, შავგულიძეები, შუდრაკი, ელიშელები, ჩოხელები, მისხები... მათ წარმოჩენაში მთელმა საქართველომ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომ გამბარჯვებათა აღსანიშნავად ჩვენს ქვეყანაშა თუ უცხოეთში უფრო ხშირად გავიგონოთ ჩვენი ქვეყნის და საქართველოს ჰიმნები“. — გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი თ. ობგაიძე და დასძენს: „ამას წინათ ასპინძიდან ჩამოსულ ერთ უმაწვილს შევხვდი. სიმალლით 2 მეტრი იქნება. სკოლა წელს დაამთავრებია. „სკოლაში კალათბურთს ვთამაშობდი, ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდა შევიტანო საბუთებით“, —მითხრა. მისი სახელი და გვარიც გელ მარუშვილი, დამთავრებული აქვს ასპინძის საშუალო სკოლა. ვფიქრობ, ფიზკულტურის ინსტიტუტის ამბიტურიენტთა შორის ბევრი არ იქნება ამ უმაწვილისთანა მონაცემების მქონე, ამიტომ კარგი იქნება თუ მას ამთავითვე მივაქციეთ უურადღება.

სასოფლო-სამეურნეო გაბათლების სამწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორად ვმუშაობ და ხშირად მიხდება ყოფნა ჩვენი სისტემის ოც ტექნიკუმში, სადაც მშვიდიერი ადნობის და კარგი სპორტული მონაცემების ახალგაზრდები სწავლობენ. სპორტულ სექციებში სწორად განაწილებასა და მიზანმიმართულ ვარჯიშის შედეგად შესაძლოა ისინი დიდი სპორტის გზასაც დაადგნენ.

ამიტომ ჩვენმა მეთოდურმა კაბინეტმა თხოვნით მიმართა ტექნიკუმების დირექტორებს და ფიზკულტურის ხელმძღვანელებს მეორეხარისხოვანი ინფორმაციების მიწოდება ნაკლებად ინტერესის მქონე ახალგაზრდების შესახებ. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შერჩეულ კონტიგენტთან გაწეული მუშაობა ნაყოფს გამოიღებს“.

შეიძლებელია ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენ ბევრი ისეთი წერილი მივიღეთ, რომელთა ავტორებიც ამ საკითხით დაინტერესდნენ. ისინი სიყვარულით გვაცნობენ თავიანთი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს ქაბა შელეგს. ეჩის კალათბურთელის კარგი მონაცემები ჰქონია, სიმალლით 185 სმ-ია, კარგად ფლობს ბურთს, ზუსტად ისვრის კალათში. „ძირფასო რედაქციავ! უმორჩილესად ვთხოვთ, უუურადღებით არ დატოვოთ ქაბა შელეგი“. — ასე ამთავრებენ ბავშვები წერილს.

წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშის ახალგაზრდები კი თავიანთ გულისტკივილს გვიზიარებენ იმის გამო, რომ მათ სოფელში არაფერი კეთდება სპორტის პროპაგანდისათვის, რომ მათთან, ისიც რაიონის ცენტრში, არის ერთი თუ ორი სპორტული სექცია, რომელიც მთუწოდებია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

„ჩვენი სოფლის ახალგაზრდები გატაცებულნი არიან ფეხბურთით და ფრენბურთით, ბაზები კი, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია. ჩვენ თვითონ მოვაწყეთ სტადიონი, გვყავს ხელმძღვანელი მეთოდისტი თამაზ ცაგარეიშვილი, რომლის ხელმძღვანელობით ვარჯიშობ ვახვრებით, მაგრამ რასკვირველია, ეს არაა საკმარისი. ჩვენთან ვრიან კარგი მონაცემების მქონე, ფეხბურთზე უუოდად შეუვარებული ვაბუკები: ამირან დარსველიძე, ნუგზარ ჩომახიძე, მამუკა ცაგარეიშვილი, იური ჯველაძე, ედიშერ ლოლაბერიძე, ბესიკ ლაბაძე, დათო და ალეკო ჯანელიძეები, რომლებიც თუ დამზარება და ხელისშეწყობა ექნებათ, შესაძლოა კარგ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ“.

ამასვე ფეხბურთზე უსაზღვროდ შეუვარებულ ვაბუკს, ნელეაჩა-

(დასასრული მე-2 გვ.).

ევროპის ჩემპიონატი

ლონდონის ქრისტ დეველტერში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა საერთაშორისო შაშში. ტურნირის 12 მონაწილეს შორის უველაზე გამოცდილმა მოსკოველმა შჩეგოლევმა ფრენ ითამაშა ევროპის ჩემპიონ კიეველ ლუშჩისკისთან. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს და ჩემპიონატს ლიდერობრივ ხარკოველი ვირნი და პოლანდიელი სხოლმა.

შეჯიბრება 20 აგვისტომდე გაგრძელდება. (საკდესი).

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

ყველაზე დიდი რეზერვი ტალანტი ჩვენს გვერდითაა

დასასრული

ეს რაიონის სოფელ კირნათის მცხოვრებს, 18 წლის თემურ შალაყაშვილ გვაცნობს ჩვენი ერთ-ერთი მკთხველი.

მეტად სანტერესო მოსაზრებას ჯეთავაზობს თელავის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ზაალ მაისურაძე. იგი გვწერს:

„რა თქმა უნდა, მკითხველთა მიერ შემოთავაზებული ყველა წინადადება მოსაწონი და მისაღები არ იქნება, მაგრამ მათ შორის უყველაზე საინტერესო ალბათ მსჯელობისა და კამათის საგნად უნდა იქცეს. ყველა სასარგებლო მოსაზრება გულდასმით უნდა აიწონ-დაწონოს, ლოგიკურად დასაბუთდეს, როგორც ირუყიან, ასევე გაიზომოს და ერთხელ გადაიჭრას. ასეთი განსაკუთრებული სარგებლობას მოვაგებინებს, მაშინ, როცა იგი საერთო-საზოგადოებრივ აზრის გამომხატველ წინადადებებს დაეყრდნობა.

ჩემს მიერ შემოთავაზებული წინადადება უნდაყლარი არ მგონია, თუმცა ვფიქრობ, რომ მასში შემჩნეული მარცვალი დევს.

თელავის ბავშვთა კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ძირითადი სახეობა ჭიდაობა.

ჭიდაობა არა მარტო კახეთში, არამედ საქართველოს ბევრ კუთხეში პოპულარული, საკვდიერო თუ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებშიც საკმაოდ მაღალი შედეგები გვაქვს.

თუ ცნობილი მოჭიდავეების წარმოშობას გავიხსენებთ, დასკვნის გამოტანა არ გაგვჭირდება: ფილანების დიდი უმრავლესობა პერიფერიებში იზრდება. გაბა ის მანდა, რომ ჭიდაობა დიდ ქალაქებში აიკრძალოს, საქმე ისაა, რომ ამ მხრივ პერიფერიების უპირატესობა აშკარაა და სწორედ ამიტომ მიმაჩნია: ჭიდაობის აღმალობას განსაკუთრებული ყურადღება რაიონებსა და სოფლებში უნდა მიექცეს.

ჩვენთვის არაფრისდედ უთხოვიათ ელდანის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებით შევსება. ამ საკითხის გადაწყვეტისას ყველაფერს მშობლებთან ერთად წყვეტენ. არავის გასაკვირი: მშობლებს უნართ, ბავშვების თბილისში გაგზავნა. მათი უმრავლესობის აზრით (და ჩვენც ასე გვგონია) უმჯობესია კახეთში, მაგალითად თელავში, დაარსდეს სპორტული პროფილის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი, რომელიც თავისუფლად დაკომპლექტდება ჩვენი და მეზობელი რაიონების პერსპექტიული ბავშვებით. ეს ხელსაყრელი იქნება ყველასათვის (ეთავალსწინებთ მიმოსვლის სიადვილეს და, რაც მთავარია მშობელთა სისტემატურ კონტროლსა და ყურადღებას).

თუ ამ წინადადებით დაინტერესდებიან ისინი, ვისაც ეს ეხება, ალბათ საქმეს კეთილი დასასრული ექნება.

გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ამ მეტად საჭირო და საშვილიშვილო საქმის განსახორციელებლად".

• • •

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც დაინტერესდა და გამოეხმაურა ჩვენს მიმართვა-მოწოდებას. ველით თქვენს წერილებს, რომლებსაც დავეგზავნება ნებიერი, პერსპექტიული სპორტსმენების აღმოსაჩენად.

ზაფხული-83



კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ!

როგორც საკუთარ სახლში

ეზოში შესულთხთანავე ჩემი ყურადღება სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა ორმა ბიჭუნამ მიიპყრო. ვეება ნაძვის ჩრდილში კამათობდნენ.

— სადაურები ხართ, ბიჭებო?— ვკითხეთ ყმაწვილებს.

— მე რუსთავიდან ვარ, მალხაზი — მახარაძიდან. — მიპასუხა დათო ხელაძემ.

— მოგწონთ აქაურობა?

— მერე როგორ! — ამბობს მალხაზ თანიაშვილი. — ბანაკში ისე ვგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში. მე და დათო შორშანაც აქ ვისვენებდით.

— მაინც რით მოგწონთ ბანაკი?

— კარგად ვერთობით, ჰაერიც ჯანრაა და კვებაც, — განაგრძო დათომ. — ბევრი შეგობარიც შევიძინეთ. პირველ ნაკადში კი შვეიცარიი მცხოვრები თანატოლები ძმები არსენ და თენგიზ თუქვაძეები გავიცანით. ისინი აქ მთელ თვეს ისვენებდნენ. ჩვენ მათ ვესაუბრებოდით საქართველოს შესახებ, ვასწავლიდით ქართულ ენას.

— უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ბატარა თანამემამულეები შორშიაც ისვენებდნენ ამ ბანაკში— სიტყვა ჩამოართვა მეგობარს მალხაზმა. — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ აქ დარმი ინჯი და აიპან ყორაჟიები. აიპანი ფეხბურთელია „ჰამბურგის" იუნიორთა გუნდში თამაშობს. აქაც სულ ბეერის დასდეა...

ის იყო, ბიჭებს დაეკვეხული მზერა შევაგდეთ, რომ თავზე ბანაკის უფროსი თ. სვანიძე წამოგვადგა. მან თავის ლისპრდელებს დაუძახა კვერი:

— ყმაწვილები მართალნი არიან. ჩვენს ბანაკში ყოველწლიურად ისვენებენ უცხოეთში მცხოვრები პატარა ქართველები. აიპანი, უკვე ნამდვილი ფეხბურთელია. „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზეც რამდენჯერმე იყო. წასულისას კი ალექსანდრე ჩიკოძემ სამახსოვროდ მაისური აჩუქა.

თ. სვანიძემ გაგვაცნო განათლების მუშაკთა პროფკავშირის წყნეთის პიონერთა ბანაკ „ცისკრის" (უფროსი პიონერსაღმძღველი — მ. ლომიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი — მ. ჩუგუაშვილი) საქმიანობა, ბანაკის დღის რეჟიმი და სამეშაო გეგმა.

— პიონერები ყველა ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობენ,— თქვა ბანაკის უფროსმა. — მხიარულად და ხალისიანად ჩაეგებრით პიქნიკებს: „აბა, ბიჭებო!" „აბა, გოგონებო!", ნორჩები დიდხანს გულიანად იცინოდნენ ბავშვების მიერ სახელოსნოში სიცილის სალამოსთვის მომზადებულ იუმორისტულ ნომრებზე.

— ყველაზე მეტი გულშემატკივარი მაინც სპორტულ პაექრობებს ჰყავს, — მიიპარა საუბარში მ. ჩუგუაშვილი. — თითოეულ რაზმში გაკმაოთეი შეჯიბრებები (ბანაკის 250 პიონერი 6 რაზმშია გაერთიანებული), ახლა კი შიდასაბანაკო სპარტაკიადას ვატარებთ. ასპარეზობები დავამთავრეთ ფეხბურთში, ფრენბურთსა და მსროლელ სტარტებში". სამივე სახეობაში II რაზმმა მოიპოვა პირველობა. ჩასატარებელი დაგვრჩა შეჯიბრებები კიდევ ერთ სახეობაში. მოვაწყობთ ლაშრობას უძოს მთაზე. შიდასაბანაკო სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ კი ჩვენს მეზობელ პიონერულ ბანაკებს — „შვეიარღესსა" და „მზიურს" უნდა შევეჯიბროთ მინიფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭიდრაკა და მშთ მრავალჭიდიში...

... საუბარში დრო სწრაფად გავიდა. რადიომ ბანაკის წევრებს დღის რეკიმი შეახსენა. გოგონები და ბიჭუნები მხიარული შეძახილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ვახშმის შემდეგ დისკო-სალამო გაიმართებოდა.

საათის ისარი ოთხს მოუახლოდა. ბანაკის ტერიტორია ნელ-ნელა დაცარიელდა, ცრიამული შეწყდა. ალისფერუყელასვეთაობა პიონერებმა სანთებელ კოპოსიებს მიაშურეს. ბანაკში წყნარი საათი დაიწყო. ჩვენც დავემშვიდობეთ ბანაკის ხელმძღვანელებს, რადგან არ გვინდოდა ხელი შეგვეშალა შეშობაში, სანამ ბაღშეებს სძინავთ, უფროსები კიდევ ერთხელ აზუსტებენ დღის სამეშაო გეგმას. შვიდი საათისთვის მეზობელი პანსიონატიდან ბიჭები მოვიდნენ ფეხბურთში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად, შემდეგ ოქროს საათი უნდა გაიმართოს, ნაცანმეგს კი ყველას დისკო-სალამოზე მოეწვევენ. ამ ღონისძიებების ჩატარების გეგმას კი გადაეცა სპორგება, რომ თითოეული მათგანი ნორჩებისთვის უფრო მომზადებული, ხალისიანი და დასამახსოვრებელი იყოს.

ვ. ფანელია.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ა ა, ა ხ ე თ ი ლ ა მ ა ზი ფ ი რ ნ ი ნ ა ა შ ვ ი ნ ე ნ ს ბ ა ნ ა კ ს შ ე ხ ა ხ ლ ე ლ ე ს; გ უ ლ ხ ლ ი ლ ი ა ხ ა ლ ა ზ ა რ ი ა ხ ლ ა ზ ა ფ ხ უ ლ ა ხ ა თ ე ბ ი თ ლ ე ნ ე ბ ზ ე; ც ი ს კ ა რ ე ბ ი ა ნ ტ ე რ ე ს ი ო ნ ა დ ე ც ნ ე ბ ე ნ თ ვ ა ლ ს თ ა ნ ა ბ ა ო ლ ე ლ ე ბ ი ს ო რ თ ა ბ ი ძ ო ლ ე ბ ს.

ავტორის ფოტოები.

არა მარტო ვარჯიშობენ...

ბაღდათის რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლის აღსაზრდელები ზაფხულს კოჯორში ატარებენ. ნორჩებს ბანაკისთვისაც შესაფერი სახელო, „ჯანმრთელობა", დაურჩენიათ. აქვე ვარჯიშობენ თბილისის სახალხო განათლების სამართველოს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის ფეხბურთელები.

ვარდაბნის რაიონის სპორტსკოლების დიდი წარმატებისთვის კეკენურობით არ მოეწყვეთათ, ოგრამ მათ მიიც აქვთ სამშაო. აქ ლიზიდილი კლასიკური სტილის მოჭიდავე ზაურ ივანიშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა იუნიორებს შორის. ეგნატე ზახოხაშვილი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონია სამბოში (ამავე ასაკში), საჭიროველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი, მზია ალეკიური კი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპრინტერია.

— ჩვენთან ლიზრდილი მოჭიდავეები, სპორტის ოსტატები სამბოში ვაჟა მიხასშვილი, ეგნატე ბაბუნაშვილი და მერაბ ტაბლიაშვილი სხვ კვეშრის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოდიოდნენ, — გვითხრა სპორტსკოლის დირექტორმა გ. გურეულიშვილმა. — მოიზიდავად ამისა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჭერჭერობით ვალში ვართ ქართველი სპორტის წინაშე და ამიტომ ყოველდღიურად ვცდილობთ შეშობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას. უკანასკნელ ხანს ჩვენს სპორტულ სკოლაში საგრძნობლად ამაღლდა მწვრთნელთა პასუხისმგებლობა.

სპორტსმენთა დაოსტატებაში ერთ-ერთ საკვანძო მომენტად მიგვაჩნია სპანაკო შეკრება. აქ სპორტსმენი რეკომშია, რაც საშეალებას აძლევს, უფრო ინტენსიურად ივარჯიშოს. ცხადია, მარტო ვარჯიში, როგორც არ უნდა მიმღინარეობდეს იგი, მთაზრდის პარმონიული განვითარებისთვის არ არის საკმარისი ამიტომაც, რომ ჩვენ სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ ლიტერობებს კოჯორის მთდამოებში. ეს მოსწავლეებს დიდ სულიერ საზრდოს აძლევს.

ჯ. კასხარაძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ე ნ ძ ი ა დ ს უ ლ ს მ ო მ ა ვ ა ლ ი ო ხ ა ტ ე ბ ი ა.

ავტორის ფოტო.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ქულა — „ჩერნომორეცთან“

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 9 აგვისტო.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.

„ჩერნომორეცი“: ჩომენკო, ხოლოდოვსკი, რომანენკო, ოშიკი, პლოსკინა, შჩერბაკოვი, პახუდო, ფინკი (ბელანოვი), ვარკოვი, გორიაჩევი, პოკონინი (შარაი).

„ტორპედო“: გახელია, ქეცბაია, კოხტავა, ჭელიძე, თავაძე, ქვერნაძე, თევზაძე, კორძაძე, უგრეხელიძე (ვახანია), გორგილაძე (ვაბიშვილი), მეგრელაძე.

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

დუბლირები — 1:0.

ოდესის „ჩერნომორეცში“, რომელსაც წლეულს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს საკავშირო ჩემპიონატში, ბოლო 3 ტურში ზედიზედ განიცადა დიდი დანაკლისი და 6 შესაძლებლიდან 5 ქულა დაკარგა. ბუნებრივია, ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ძალების დაუზოგავად იბრძოლებდა საკუთარ მინდორზე ამ დანაკარგის ასანაზღაურებლად.

მართლაც, ოდესელებმა მთელი პირველი ტაიმი ენერგიულად, სწრაფი ირიბებითი ჩაატარეს, დიდ ტატრირთვა დაუწყეს „ტორპედოს“ მცველებს და მეკარე გააქანსეს. სტუმრებმა ამ პერიოდში მხოლოდ ემბრიონური კონტრშეტევებით თუ პასუხობდნენ მეტი-ქეს, მაგრამ ქუთაისელებმა მეორე ტაიმში საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, მეგრელაძემ, კორძაძემ, ქვერნაძემ და სხვებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მატოს კართან, ძნელი ბერთის აღება მოუხდა რომჩესკის.

მატჩის დასასრულს ოდესელებმა კვლავ მოუმატეს ტემპს, ხშირად გადიოდნენ იერიშზე შჩერბაკოვი, და გორიაჩევი, მაგრამ ტორპედოელებმა ბოლომდე მონდომებით, სრული მობილიზებით იბრძოლეს და შეძლეს ქულის ღირსეულად შენახვა. ერთ-ერთ ლიდერთან მისი მინდორზე.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეჯვრები (I ჯგუფში იმოსავლეთ ზონის გუნდებს შესვენება აქვთ).

I ჯგუფი

დასავლეთი ზონა

„ხალხინი“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ონამირი) 4:1. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).

გოლები: დახელია-2, შერვაშიძე, ჭუბაბრია („ხალხინი“), შამათავა („ამირანი“).

„ხულორი“ (ვანი) — „ხაშურა“ (ოქრაღელა) 2:0. მსაჯი შ. ბანიაშვილი (თბილისი).

გოლები: სულაბერიძე, ორმოცაძე.

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „ხარიმე“ (მიაკოლკი) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გოლები: ბერძენიშვილი-2, ხარჩილავა („იმერეთი“), გუმბერიძე („ხარიმე“).

„ჰქური“ (წალენჯიხა) — „შუქურა“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ბერთი გაიტანა ბ. კვარაცხელიამ.

„ბაღდათელი“ (ბაღდათი) — „ბაბუაწარი“ (ჩიხა-ტატნი) 0:0. მსაჯი გ. ხეთაგუროვი (თბილისი).

„ცოლბეთი“ (ხობი) — „ხამგრელი“ (ჩხორწყუ) 3:0. მსაჯი ა. ბაზუკაშვილი (თბილისი).

გოლები: მოსიაევა, ჭომეთიანი, ზ. ლატარია.

„ხამგურაული“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ბაკრი) 4:1. მსაჯი შ. ბანიაშვილი (თბილისი).

გოლები: სვანძია-2, გორგოძე, ქვირია („ხამგურაული“), კაჭარავა („დინამო“).

„ბზიური“ (ჯალე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ბერთი გაიტანა ჭილაძემ.

დასავლეთი ზონა

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ ზ.	21	11	5	5	36-22	27
„ბზიური“	22	11	4	7	31-23	26
„სამგურ.“	21	10	6	5	40-21	26
„ამირანი“	22	10	5	7	36-42	25
„ხაშურ.“	22	9	7	6	35-22	25
„სულორი“	22	10	4	8	33-28	24
„სქური“	22	9	6	7	27-29	24
„სამეგ.“	21	10	3	8	34-25	23
„ცხინ.“ მ.	22	9	5	8	31-35	23
„სალხ.“	22	7	8	7	30-31	22
„ეგრისი“	21	8	5	8	26-27	21
„მელორ.“	22	7	6	9	33-31	20
„ბაზმ.“	22	7	6	9	18-24	20
„იმერ.“	22	6	8	8	32-30	20
„ცოლბ.“	22	5	10	7	28-34	20
„საიმერ“	22	7	5	10	28-31	19
„ენგური“	21	7	4	10	19-40	18
„ჭტქალ.“	22	5	8	9	32-33	18
„შუქურა“	21	3	5	13	27-48	11

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

რუსთავის „იმედს“ დამარცხება ჩაეთვალა მარნეულის „ალგეთს“.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩიხურა“	18	12	3	3	42-29	27
„ალგეთი“	17	11	3	3	34-20	25
„არაგვი“	18	9	6	3	35-24	24
„ვარძია“	18	9	4	5	29-17	22
„იბერია“	18	7	8	3	31-15	22
„გარეჯი“	18	9	3	6	24-16	21
„მაშკ.“	18	7	6	5	26-21	20
„განთ.“	17	8	2	7	28-32	18
„მესხეთი“	18	7	2	9	35-28	16
„ზარზმა“	17	5	5	7	23-28	15
„შიდნეთ.“	18	6	2	10	23-31	14
„ორიონ.“	17	4	6	7	27-33	14
„იმედი“	17	4	4	9	23-30	12
„ბაბტრ.“	18	4	4	10	13-29	12
„გარისი“	17	4	3	10	19-39	11
„ბაბული“	18	1	7	10	17-37	9

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

პროფკავშირების თასზე

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა შორიგი შეხვედრები პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საკავშირო თასზე: „ჭიათურა“ (ქირთვალია) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 8:2, „დინამო“ (ბათუმი) — „ცოლბეთი“ (ფოთი) 4:0, „დინამო“ (სოხუმი)—„მერცხალი“ (ბახბახაძე) 1:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:4, „ლილო“ (ყვირი) — „ჭიათურა“ (ქირთვალაძე) 3:3, „ოლიმპია“ (ორტაშატი) — „ცოტაია“ (ამოვიანი) 0:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „სპარტაკი“ (ტყიბულის ნაკრები კოლექტივი) 4:0, „ალაზანი“ (ლენინაკანი) — „ზაზანი“ (ლენინაკანის ნაკრები კოლექტივი) 1:3, „ყარაბახი“ (სტეფანწმინდა) — „ავტომობილისტი“ (შირაქეთი) 4:0.

მთავრდება პროკავშირების თასის გათამაშების ზაფხულის ეტაპი. ჯერ-ჯერობით ერთმანეთს შეხვედებიან ადგილობრივი „ჭიათურა“ და ფოთის „ცოლბეთი“, გამარჯვებული გუნდი ბათუმში ერთად ეთამაშის ადგილობრივი „დინამოს“, ბახბახაძის „მერცხალთან“ მიიღებს გორის „ლილოს“, გამარჯვებული სტეფანწმინდის „ყარაბახი“ მიიღებს ოქტემბერიანის „სპარტაკს“, გამარჯვებული ახალციხეში ეთამაშება „კოტაიკს“, ლენინაკანის „შირაკი“ მიიღებს მინგეჩაურის „ავტომობილისტს“, გამარჯვებული ლენჭორწყალში ეთამაშება „ხაზარს“.

საერთაშორისო ტურნირი

უნგარეთის დედაქალაქში გაიმართა პატივ. ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (ასაკი — 15-16 წელია), რომელშიც მონაწილეობენ უნგარეთის, შვეიცის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების ნაკრები კოლექტივები.

საბჭოთა პატივს ფეხბურთელებმა, რომელსაც ავარჯიშებს უფროსი მწვრთნელი ლ. რადიონი, ქვეჭგუფში დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (2:0) და შვეიცის (1:0) გუნდები, წააგეს იუგოსლავიელებთან (1:2) და დაიკავეს II ადგილი.

ბოდაპეშტის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ფრანგმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს იუგოსლავის გუნდი. საბჭოთა ნაკრებმა III ადგილისათვის ბრძოლაში სძლია უნგრეთის ჯგუნს — 2:0.

„ჭაკვის ბურთის“ პრიზზე

12 აგვისტოს დაწყება „ტყავის ბურთის“ საკავშირო ფინალური შეჯიბრებები ნორჩ-ფეხბურთელთა შორის. ფინალურ მატჩებში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 72 გუნდი.

საკავშირო ფინალური თამაშები 12-22 აგვისტოს გაიმართება ლუშნიკში, ტალისა და ხრისოში. (სააკობრივი ჯგუფების მიხედვით).



საქართველოს პირველობა

დასავლეთი ზონა

„გონგ.“	19	14	5	0	34-13	33
„ოდიში“	19	13	3	3	57-19	29
„ცოლხ.“	19	11	5	3	38-17	27
„შახტ.“	19	11	4	4	33-18	26
„ავტომ.“	18	10	2	6	26-21	22
„იმერ.“	18	8	4	6	27-29	20
„ნარუწკ“	19	7	6	6	38-29	20
„ცოლმ.“ გ.	19	7	6	6	29-26	20
„პოლ.“	18	8	3	7	29-27	19
„ნაპარწ.“	19	6	4	9	35-38	16
„ცოლმ.“ ტ.	19	5	6	8	30-29	16
„ზვამლ“	19	5	4	10	22-35	14
„ავთ.“	19	4	6	9	29-45	14
„რაჭა“	18	6	1	11	22-49	13
„ოლია“	19	4	3	12	33-41	11
„სენაკი“	19	3	4	12	28-44	11
„ბზიფი“	18	2	3	13	16-46	7

ზონალური პირველობა

„ჭიაურა“ (წნორა) — „ცოლმურნე“ (ქვემო ქედი) 3:2, „ქისტური“ (ახმეტა) — „არაგობი“ (ახმეტა) 2:0, „ვაღიღისუბანი“ (ლაგოდეხი) — „ჰერეთისკარი“ (ლაგოდეხი) 0:4, „სამცხე“ (ბორჯომი) — „იორი“ (თიანეთი) 6:4, „ქიშაური“ (აგარა) — „ავტომობილისტი“ (დმანისი) 3:1, „ელექტრონი“ (ზესტაფონი) — „ცოლმურნე“ (ონი) 3:0, „ცრცხვილი“ (ხაშური) — „ნარინჯა“ (ნატანები) 3:2, „ცოლმურნე“ (ასპინძა) — „მამული“ (დიდი ჭყონი) 2:0. ორჯონიკიძის „ჩხერიმერას“ გმირკუნება ჩაეთვალა ვანის „სანიორმთან“.

რესპუბლიკური ჩემპიონატის I ჯგუფის **აღმოსავლეთ ზონაში** საფეხბურთო სნაიპერთა სია ასე გამოიყურება: გ. ხუბეზონიშვილი („სპარტაკი“, ცხინვალი) — 18 ბურთი, ო. ტალახაძე („დუნეური“; ყვარელი) — 15, ვ. არქანია („ჰერეთი“, ლაგოდეხი) — 14; დასავლეთი ზონა — ჯ. ჭითაძეა („ამირანი“, ონამირი) — 17, ვ. ბერძენიშვილი („იმერეთი“, წულუკიძე) — 16, ე. ცომაკურიძე („სამეგრელო“, ჩხოროწყუ) —15.

17 აგვისტოს გაიმართება საქართველოს თასის I ტურის მეთექვსმეტედფინალური თამაშები: „მაღარელი“ (ჭიათურა) — „შვარდენი“ (თბილისი), „სამრეი“ (გარდაბანი) — „არაგვი“ (ცინვალი), „დინამო“ (ზუგდიდი) — „სპორტი“ (ოქტემბერიანი), „ავეარა“ (ხაშური) — „ცხეთი“ (თიანეთი), „არაზანი“ (ცხინვალი) — „სარმე“ (მაიაკოვსკი), „სულორი“ (ვანი) — „ქალისული“ (ბოლნისი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაშავერა“ (დმანისი), „თორი“ (ბორჯომი) — „სპარტაკი“ (თბილისი).

11-მეტრიანი ჯდისციპლინოთა კარში

მომდინარე სეზონში მეორედ გაადგთხილეს ვანის „სულორის“ ფეხბურთელი თ. ნეფარიძე (სორტკომიტეტის თავჯდომარე ნ. გოგიძე), გაადგთხილეს ს. ჭიუმელი და მ. გორბატოვი (ჩიხატაურის „ბაბნარი“, სპორტკომიტეტის თავჯდომარე ლ. ჩხეიძე), გ. გიგინიშვილი და გ. მაძარაშვილი (ლაგოდეხის „ჰერეთისკარი“. სპორტკომიტეტის თავჯდომარე ს. ჯალიაშვილი).

• • •

შენიშვნა: სოხუმის „გეოლოგი“ მოხსნილია გათამაშებიდან, მისი შედეგები გაუქმებულია.

საკათხელოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველო.

ჩვენი პროფესიული გამოსვლის ძველითობა

„ლელო“ 14 მაისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „ქალი“, რომელშიც ლამარა იყო მარნეულის სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩატარებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის საქმეში არსებულ ჭირს.

ჩვენმა რეაგირებამ მიიღო მარნეულის განათლების განყოფილების გამგის მოადგილის გ. ხაბეიშვილის წერილი. ატერი გვწერს:

„ზემოხსენებული წერილი, რაიონის განათლების განყოფილებამ განიხილა 1983 წლის 24 მაისს და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში არსებული ხარვეზებისათვის მარნეულის სკოლების მასობრივ-სპორტული მუშაობის დაბალი დონისათვის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს ავთანდილ მირზა ოღლი ხალილოვს გამოეცხადა საყვედური.

პირველ, მე-2, მე-3 საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებს (კ. სტამატოვი, ზ. მელონაკვა, ნ. შეყლაშვილი, ა. კოკაევი) დაევალათ ამხანაგური წესით დასაჯონ ფიზკულტურის მასწავლებლები ღონისძიებების დაბალ დონეზე ჩატარებისთვის.

ჩემპიონობა — ვადამდე

ხალხინი გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ეტაპი სავაზატკილო წრიულ მოკრძალობაში. გაიმარჯვა ესტონელმა ლ. ტულმა, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო ორიგე რბოლა და უკანასკნელი ეტაპის წიდიგის მოხერხებულად სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მისმა თანამოქალაქემა ლ. ტეილსმამაც ორი რბოლა მოიგო, ამასთან მეორეში 250 კმ სმ-ის ძნაიანი მოტოციკლების კლასში, სიჩქარის რეკორდი დაამყარა —142,0 კმ საათში.

ერთ წუთზე სიჩქარის აბსოლუტური რეკორდი ამავე კლასის მოტოციკლებით რბოლაში ეკუთვნის ლეონიდ ა. გალანსკის—145,9 კმ.

ცნობები ადგილებიდან

ტყისტული ბილიკებით

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ჭიათურის რაიონული საბჭოს თაოსნობით მოეწყო 3-დღიანი კომბინირებული ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ჭიათურა-ზრიგითი-ნაქერალას მთათუღუნი-შაორის წყალსაცავი-ნოორმძიანი-ზოდი-ჭიათურა. ლაშქრობაში მონაწილეობდა სულ 90 ტურისტი. შაორის მიდამოებში გაიმართა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, მინი-ფეხბურთსა და სპორტულ თევზჭერაში. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ზოდისა და ზრეითის სასოფლო საბჭოებმა.

ვ. ლურსმანაშვილი,
(„ლელოს“ კორ.).

რაისაბჭოს პირველობაზე

ბაიბარა სამტრედიის „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრებაში 17 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. უმეტესათ ბრძოლის შემდეგ ფინიში ერთად გადაკეთეს ლანინის მეფისულების საბჭოთა მეურნეობის, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ქალაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის გუნდებმა.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

„დინამოს" საკავშირო



ლიდერობენ მასპინძლები

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება სპორტსაზოგადოება „დინამოს" X სპარტაკიადის ტურნირი კალათბურთში. შეჯიბრებაში, რომელიც ამ საზოგადოების დაარსების 60 წლისთავს ეძღვნება, ჭილთა და ვოტა 4-4 გუნდად მონაწილეობს. დებიუტის თანაბარად ასპარეზობა წრიული სისტემით, ორტურად ეწყობა, ე. ი. თითოეული გუნდი ორ-ორჯერ ხვდება მეტოქეებს.

ეიფთა ტურნირში წარმატება აქვს საქართველოს დინამოელ კალათბურთელთა ნაკრებს, ე. ი. ფიქტორიად თბილისის „დინამოს". 9 აგვისტოს, II წრის პირველი მატჩში ისინი ყირგიზეთის ხელოვნებენ.

დასაწყისში მასპინძლები ზედმეტად ნერვიულობდნენ, რასაც ბევრი შეცდომა მოჰყვა. ამით კარგად ისარგებლეს ყირგიზმა სპორტსმენებმა და დაწევაურდნენ. პირველი ტაიმის მწყრულს მათ უპირატესობა უკვე 17 ქულს შეადგენდა — 44:61. II ტაიმში მასპინძლებმა ძალიან ენერგიულად დაიწყეს თამაში და 7 წუთიც არ იყო გასული, რომ ანგარიში გაათანაბრეს—72:72. ამის შემდეგ მათ ბრძოლის სადავე ხელიდან არ გაუშვიათ და მატჩი გამარჯვებით დაასრულეს — 110:97. ამ დღეს ჩვენი გუნდი მოეცადნენ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: გ. კაპეტანიძე (6), ი. ბოროდაჩევი (12), ზ. გრიდინე (10), ე. ჯუღაშვილი (4), ვ. ბებეიშვილი (18), გ. დარსაძე (16), ა. მარჭენკო (4), ნ. დვრიაზგანი (24), ი. მილოვიდოვი (10), ბ. ლომპარტელიანი (6).

საქართველოს ნაკრებმა ყველა მატჩი მოიგო და ახლა 8 ქულით **დამაჯერებლად** ლიდერობს.

სხვა მეტჩების ტექნიკური შედეგები:

ქალები. 5 აგვისტო. I წრე. რსფსრ — II — რსფსრ I — 68:81; უკრაინის სსრ — მოსკოვი — 76:96.

6 აგვისტო. უკრაინის სსრ — რსფსრ II — 102:84; რსფსრ I— მოსკოვი — 73:65.

7 აგვისტო. რსფსრ II — მოსკოვი — 96:84; რსფსრ I — უკრაინის სსრ — 88:78.

9 აგვისტო. II წრე. რსფსრ — I — რსფსრ II — 95:86; მოსკოვი — უკრაინის სსრ — 65:73.

კაცები. 5 აგვისტო. I წრე. მოსკოვი — რსფსრ 114:101; საქართველოს სსრ — ყირგიზეთის სსრ — 121:100.

6 აგვისტო. ყირგიზეთის სსრ — მოსკოვი — 100:122; რსფსრ — საქართველოს სსრ — 91:95.

7 აგვისტო. რსფსრ — ყირგიზეთის სსრ — 92:97; საქართველოს სსრ — მოსკოვი 100:95.

9 აგვისტო. რსფსრ — მოსკოვი — 80:104.

ასპარეზობა დღეს დამთავრდება.

განყოფილება მაინც კარგი გვაქვს...

ბარემოდენი სამყარო უამრავ მოულოდნელობას გვთავაზობს, რომელთა წარმოდგენა-გათვალისწინება შინ, წყვდიად ოთახში ჯდომისას შეეძლებელიც კია, ალბათ ამის გამო უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგებაო. ამ ხალხური სიბრძნის სიმართლეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ისინი „იბერიას" ეკიპაჟის წევრები. დიდი ხნით ადრე გეგონდა დადგმული, რომ ჩვენი იახტა 1 აგვისტოს გავეღიღა რიგის ნავსადგურიდან, ამის შესახებ პრესის ფურცლებზეც განვიცადეთ, მაგრამ რიგაში ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ აუცილებელი იყო იახტაზე ზუსტი სანავიგაციო ხელსაწყოების დადგმა. დიდი მონდომებისა და ოპერატიულობის მოუხედავად, ამ საქმეს ორი დღე მაინც დასჭირდა და მხოლოდ სამ აგვისტოს, 22 საათზე გავედით ზღვაში სააღრიცხვო კლუბ „ბალტიური" ნავმისაცოდინოდან. გაბწყინებულება სახეზიმი და ომსახანი გვქონდა. რა ვიცოდით, რომ სულ მალე ზღვა ჩაკეც გამოცდას მოგვიწყობდა. ღამის ორ საათზე იახტის დიზელი გამოვიდა მწყობრიდან. შეწყდა სინათლის მიწოდება, აკუმულატორები არ მუშაობდა და ამიტომ მთელი დატვირთვით ამუშავდა იალქნები. იახტაზე სინათლე არ იყო, დიზელის შეკეთება კი შეიძლებოდა, ამიტომ სანავიგაციო-სანათიო შუქი ხელის ფარანებით შეიცვალა. იახტაზე განგაში გამოცხადდა.

დილით დავიწყეთ ძრავის დაშლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღია ზღვაში მისი შეკეთება არ შეგეძლო... ეს კიდევ არაფერი. 4 აგვისტოს, დილის 12 საათზე მივუვეთით ე. წ. შტილში. ეს ისეთი მდგომარეობაა. როცა ქარი საერთოდ არ იძერის და იალქნები არ მოძრაობს. ამის გამო 10 საათის განმავლობაში მხოლოდ ერთი მილის ჯოელა შევძელით. ღამის 10 საათზე ამოვარდა ქარი. ჩვენ ამ დროს მუხუთიანის სრულე უნდა გაგვეკეთ. სრული პატარა კუნძულებზე შორს გადის და ძალზე საშიშ ადგილად ითვლება. ჭარიან ცუდ ამინდში რიგიელებიც ვერ ბედავენ გავლას. როგორც იქნა, შუადღისთანად ქვეყნიერ სრული და ახლა ტალღები ეფიცარ. ვარქმონტებით ძრავას. ამალამ გეზს ავიღებთ ლენინგრადისაკენ.

ეკსპედიციის პირველი დღეების წარმატებლობამ ვერ შეაჩერა ჩვენი მხნეობა. კვლავ ამედინი გაბწყინებულება აქვთ ჩვენს ბიჭებს, სხვადასხვა არც შეიძლება, ზღვა ხომ მხოლოდ ძლიერ და გაუტეხელ ადამიანებს ემორჩილება.

ა. ხაჩატრიანი, ე. VIII.

თანაკლასელები შეაღწევს საფინალოში

● მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ქალსინკი, 10 აგვისტო. მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღეს გაიმართა 7 ფინალი. ორ მათგანში პირველები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები. 24 წლის როსტოველმა თამარ ბოკოვამ 201 სმ შედეგით გაიმარჯვა სამალიზე ხტომაში, ხოლო მისი თანაკლასელები, მსოფლიო რეკორდსმენი, 25 წლის ს. ლატვინოვი საოცარია იყო ოროს მტყორცნელთა სექტორში — 82,68 მ.

სამალიზე ხტომაში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ბაკოვას და ულრიკე მეიფარტის (გფრ) შორის. პირთამდე სავსე ოლიმპიურ სტადიონზე მაყურებლები ისხდნენ და როგორც თვალწინ, „პრაფის" ძახილით ხვდებოდნენ ყოველ იღბლან ცდას. ვიდამწყვეტი გახდა 201 სმ სიმაღლე. ბაკოვამ იგი დაძლია, მეიფარტმა თამასი ჩამოაგდო, მომდევნო ცდები კი გამოტოვა და ბრძოლა გაგრძელდა 203 სმ-ზე, რაც სანტიმეტრით მეტი იყო მისივე მსოფლიო რეკორდზე. მაგრამ ულრიკემ ვერ დაძლია ეს სიმაღლე. მომპაღლმა ჩემპიონმა ბაკოვამაც შეუტანა მსოფლიო რეკორდს, მესამე ცდაზე ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ უმციროდ. „ჭი მზად ვიყავი იმისათვის, რომ მაღალი შედეგი მეჩვენებინა, მაგრამ ახალი რეკორდის ბაზისთვის გადავდებ, — თქვა ბაკოვამ, — გამორჩეულისთვის სარკორდო შედეგი რომ ყოფილიყო საჭირო, მე მას ვაჩვენებდით".

დიახ, მსოფლიო ჩემპიონატზე მაღალ შედეგებ არის, მაგრამ ჯერჯერობით რეკორდები არ ჩანს. არის ორი მოსაზრება ამის თაობაზე. პირველი: მსოფლიო რეკორდების საოცარი კასკადი მძლეოსნებმა ეკლინეს ჩემპიონატამდე აჩვენეს და ახალი „ფეიერთქილებისთვის" არც ფიზიკური და არც მორალური ძალა აღარ ჰყოფნით. მეორე: პროგრამის უკლებლივ ყველა საბოლაში ისეთი მწვავე ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღებულა, რომ ფიზიკური ამრენი მხოლოდ იმიტომ მიმართული, გაუსწრონ ძირითად მეტოქეებს და გაიმარჯვონ („ბერიეზის ომი" იქნები მოგეხსენებათ, რომ ხშირად პირველ პლანზე გამოდიან ახალგაზრდა, უცნობი სპორტსმენები).

ბაკოვას მორაგი სიმაღლის ცდების შემდეგ ყურადღება გადაჰქონდა მინდიოს მეორე ნახევარზე, სადაც ჯერ მეტორცნელები ასპარეზობდნენ. თუ არა უზომაზარი ვიდეოტაბლო, შორიდან ძნელი იყო გარჩევა, თუ რა ხდებოდა იქ. რა თქმა უნდა, თამარ ლატვინოვაზე ღელავდა: ისინი არა მარტო თანაკლასელები არიან, ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობდნენ. ასეთი რამ სპორტში იშვიათია— მსოფლიო ჩემპიონები პირველად და ისიც ერთ საღამოს, გახდნენ თანაკლასელები.

სერგეი ლატვინოვმა მოიგეიჭა მსოფლიოში უძლიერესი ჯერის მტყორცნელის რეპუტაცია. მისი პირველი დიდი წარმატება გახლდათ III ადგილი 1975 წელს ევროპის ახალგაზრდა ჩემპიონატზე. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ლატვინოვის ნიჭის ადრეულ პერიოდში აღმოჩენა და ფრთების შესხმა ითქვან. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ახალ ნიჭიერ მეკეტ ან ოძერს და იალქნებით ირ მოძრაობს. ამის გამო 10 საათის განმავლობაში მხოლოდ ერთი მილის ჯოელა შეეძლოთ. ღამის 10 საათზე ამოვარდა ქარი. ჩვენ ამ დროს მუხუთიანის სრულე უნდა გაგვეკეთ. სრული პატარა კუნძულებზე შორს გადის და ძალზე საშიშ ადგილად ითვლება. ჭარიან ცუდ ამინდში რიგიელებიც ვერ ბედავენ გავლას. როგორც იქნა, შუადღისთანად ქვეყნიერ სრული და ახლა ტალღები ეფიცარ. ვარქმონტებით ძრავას. ამალამ გეზს ავიღებთ ლენინგრადისაკენ.

ეკსპედიციის პირველი დღეების წარმატებლობამ ვერ შეაჩერა ჩვენი მხნეობა. კვლავ ამედინი გაბწყინებულება აქვთ ჩვენს ბიჭებს, სხვადასხვა არც შეიძლება, ზღვა ხომ მხოლოდ ძლიერ და გაუტეხელ ადამიანებს ემორჩილება.

ა. ხაჩატრიანი, ე. VIII.

(ქალები) — 21,39; 2. უ. ტიმერმანი (გდრ) — 21,16; 3. რ. მაჩუკი (ჩეხოსლოვაკია) — 20,98.

100 მ ბარეში. 1. კ. ლიუბინი — 10,07; 2. კ. სმითი — 10,21; 3. ე. კინგი (ყველა— აშშ) —10,24.

ხაბიჯობა. 1. ზ. პოფპანი (პოლონეთი) — 17,42 მ; 2. უ. ბენჯმი (აშშ) — 17,18; 3. ა. აგბებაძუ (ნიგერია) — 17,18.

800 მ ბარეში. 1. ვ. ვიულბეკი (გფრ) — 1.43,65; 2. რ. დრუპელი (ნიდერლანდები) — 1.44,20, 3. ჟ. კარპალიუ (ბრაზილია) — 1.44,27.

10000 მ. 1. ალბერტო კრეა (იტალია) — 28.01,04; 2. ვეინრიხ შილმაური — 28,01,18; 3. ჰანს-იორგ კერეც (ორივე — გდრ) — 28.01,26.

400 მ თარეხებენი. 1. ე. მოზესი (აშშ) — 47,48; 2. ჰ. შმიდი (გფრ) — 48,61; 3. ა. ხარლოვი (სსრ კავშირი) — 49,03.

ტრიპლ ტყორცნა. 1. ს. ლიტვინოვი — 82,68 მ; 2. ი. სედიხი (ორივე — სსრ კავშირი) — 80,94; 3. ზ. კვასნი (პოლონეთი) —79,42; 4. ი. ნიკულინი (სსრ კავშირი) — 79,34.

ჭაღები. მარათონი. 1. გ. ვაიტელი (ნორვეგია) — 2:28.09; 2. ჰ. დიკერსონი (აშშ) — 2:31.09; 3. რ. სმეხნოვა (სსრ კავშირი — 2:31.13.

100 მ ბარეში. 1. ჰ. გიორი — — 10,97; 2. ჰ. კოხი (ორივე — გდრ) — 11,02; 3. ფ. უელიამსი (აშშ) — 11,06.

800 მ. 1. ი. კრატხუვილი (ჩეხოსლოვაკია) — 1.54,68; 2. ლ. გურნეი — 1.56,11; 3. ე. პიდკამაევი (ორივე — სსრ კავშირი) — 1.57,58.

ხიმაღლეზე ხტომა. 1. ი. ბიკოვა (სსრ კავშირი) — 201 სმ; 2. უ. მეიფარტი (გდრ) — 199; 3. ლ. რიტერი (აშშ) — 195.

შვიდპრ. 1. რ. ნოიბერტი — 6714 ქულა; 2. ს. პეტკი — 6662; 3. ა. ფატერი (ყველა — გდრ) — 6532... 6. ე. სმირნოვა (სსრ კავშირი) — 6321.

(საკვლია).

ს უ რ ა თ ე ბ ი: მსოფლიო ჩემპიონატი ხიმაღლეზე ხტომაში თ. ბაკოვა.



● ალპინიზმი

ჯერი ანტარქტიდის პიკზე მიდგა

მოსკოვიდან — ბევრ ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტის ათობით მთიან რაიონში ეყოფილან, მაგრამ საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. — განაცხადა საკვლის კოორესპონდენტთან სუბაროში ცნობილმა იტალიელმა ალპინისტმა რეინჰოლდ მესნერმა, რომელმაც ერთი ცვირა ადამი ჩვენს ქვეყანაში.

ამჯერად მესნერის (ერთადერთი ადამიანი, რომელმაც „სოლო ასვლა" განახორციელა ჰუნანეტის უმაღლეს „მწვერვალ ევერესტზე) მთავარი მიზანი იყო იალპუზზე (5633 მ) ასვლა.

მართალია რომ ვთქვა, — აღნიშნა რეინჰოლდმა, — არ მეგონა, შეღარებით დაბალი მწვერვალის „სპრინტერული" დაპყრობა ასე თუ გამიჭირდებოდა, დაწვებისას ვინგებდი უკმარობა ჟიგრძენი და იძულებული გავხდი მნიშვნელოვნად შემემცირებინა ტემპი. ეს, ჩემი აზრით, იმის ბრალია, რომ უალპინტურ ადგილებში გავიარეთ გზას.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს კლავ გესტუმრებით, — თქვა მესნერმა—მომზადება კავკასიონში თვითი სილამაზით. მინდა ავიდე ჰამირისა და ალტას მწვერვალებზე. გარდა ამისა, მსურს ახლოს გავიცნო საბჭოთა ალპინისტები. ახლა ყველა საფუძველი მაქვს მგეროდეს: სსრ კავშირში ბევრი ბრწყინვალე ალპინისტი და მეცნიერი. სპორტის ეს სახეობა ჩვენში ძალზე პოპულარულია. მას მისდევს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ათასობით ადამიანი. ისინი ტექნიკურად, ფიზიკურად და მორალურად ისე არიან მომზადებულნი, რომ მათთან ერთად ყველაზე რთულ მარშრუტს შემიძლია გავუდგე.

39. წლის მესნერმა თქვა: ბევრს უკვირს, რომ მე 3000 ასული განვახორციელე, მაგრამ ალპინიზმს 30 წელზე მეტია მივდევ. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო მამა.

ახლა მესნერს, რომელმაც ამოცანად დაისახა დაიპყროს ყველა ოთხეროსანის უმაღლესი მწვერვალი, დარჩა მხოლოდ ვინსონი (5140 მ) ანტარქტიდაში... (საკვლია).

რედაქტორის მოადგილე უ. ვიშნიაკი.

რადიომოყვარულთა საერთაშორისო...

სოფია. უოტრამოკლტატლოლანი რადიომოყვარულთა საერთაშორისო შეჯიბრებაში — „პობედა-83". რომელიც ბულგარეთის ქალაქ პლევნაში გაიმართა, საბჭოთა სპორტსმენებმა სამმა წარმატებას მიაღწიეს. ისინი პირველები იყვნენ 144-და 432 მეგაგიგაჰერციან რადიოსადგურებზე მიღებასა და გადაცემაში. ამრეთვე ოქროსა შედლები მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში. II ადგილზე ბულგარეთის, ხოლო შესამეზე — ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. (საკვლია).

საქართველოს კპ ცკ-ის გაზომცველობის პრობის ორდენოსანი სტამბა, ტბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ინდექსი ზეთით სა-ში 07698

გაზეთის კორპუსში, ხოლოსანელის. 29. ИНДЕКС 66435